31/10

ადრე ფურცლები ორნაირი ყოფილა - ხაზიანი და უჯრიანი

პატარა რომ ვიყავი ბებია ხშირად მიყვებოდა ზღაპრებს. ეს ზღაპრები ძირითადად ისეთ ცხოველებს ეხებოდათ, რომლებსაც ლაპარაკი არ შეეძლოთ, ადამიანები მხოლოდ მიწაზე დადიოდნენ (ჰორიზონტალურად), თქვენ წარმოიდგინეთ, წიგნებსაც კი კითხულობდნენ. მე ვერასოდეს ვხვდებოდი, რას ნიშნავდა წიგნების კითხვა. როგორ, გადაშლიდნენ და უბრალოდ უყურებდნენ? მეტი არაფერი? ამდენი ფანტაზია არ მყოფნის.

ჩემი დიდი ბებია, თუ ბებიის ბებია, შეიძლება მისი ბებიაც კი (ყოველთვის მიჭირდა უფროსების ზუსტი თანმიმდევრობის დამახსოვრება) ამბობდა, რომ ეს ამბები ოდესღაც რეალობა იყო. ბავშვობაში ასეთი ზღაპრები მაოცებდა, რაც გავიზარდე ფანტასტიკის აღარ მჯერა და აბსურდული იდეების მოსმენაც მომბეზრდა.

* * *

წელს ოქტომბერი ნაკიანი იქნება, ამიტომ ჰელოუინს აღვნიშნავთ. დიდი ხანია არაფერი გვიზეიმია. არ ვიცი, კალენდარს რატომ არ უყვარს დღესასწაულები, მაგრამ ყოველთვის ისე გამოგვეცხადება ხოლმე, რომ ვერაფრის აღნიშვნა ვერ მოვახერხოთ. ახალ წელსა და შობაზე მხოლოდ ლეგენდები დადის. მე არასდროს მინახავს აღდგომა ან ჩემი დაბადების დღე. ჰოდა სანამ უჟმურ კალენდარს ჰელოუინიც შემოდგომის ლეგენდად გადაუქცევია, აღვნიშნავთ და აღვნიშნავთ.

31 ოქტომბრის ღამეს ვამპირები, მაქციები, მიცვალებულები, მიუცვლელები და საერთოდაც ყველა არსება ისე იცვამს, თითქოს ადამიანია. ადამიანები კი პირიქით, მანტიებში, ლაბადებში, სახვევებში და ძონძებში გამოეწყობიან ხოლმე. ზოგი სახეს იმწვანებს, ზოგი ილურჯებს. მოკლედ, ყველანი ერთმანეთის საპირისპიროდ ვიქცევით.

ლეგენდის თანახმად ჰელოუინი ოდესღაც ავი სულების განდევნის რიტუალი იყო. რა სისულელეა, რატომ უნდა განედევნათ ავი სულები. რა დააშავეს ასეთი.

* * *

ჩემი და ჯენი საოცარი ფანტაზიორია. გონია, რომ ბებიის ბებიის ბებიის ბებიებს უხსოვარი დრო ახსოვთ. ერთ-ერთი მათგანი გვიყვებოდა, რომ ადრე ადამიანები იხოცებოდნენ, ეს აუცილებელი იყოო. ვამპირი ვლადიც გვეუბნება, რომ ეს მართალია, თუმცა ვფიქრობ, ვლადი მაინცდამაინც კეთილი არ არის და პატარა ადამიანების მოტყუება უყვარს.

* * *

ჩემი სარკე ისევ არ ირეკლავს. დღეს დილიდან ძველებურად გაჯიუტდა. თავიდან მხოლოდ თავის ინტერპრეტაციით მაჩვენებდა, შემდეგ კი სულ შეწყვიტა ჩემი არეკვლა.

- დე, სარკე არ მაჩვენებს, - ვთქვი მე.
- ხომ იცი, ჰელოუინის დროს ყოველთვის ეცვლება ხასიათი - მიპასუხა დედამ და ცეცხლს ჩაიდანთან მოსვლა უბრძანა. - წადი მდინარეში ჩაიხედე, ახლა არ მცალია, ლილიენ.

ჩაიდანმა სუნთქვას ორთქლი ამოაყოლა. მე მდინარესთან წავედი. როცა დედა სრული სახელით მომმართავს უკვე ვიცი, რომ საშიშ ზღვარს ვუახლოვდები. თუმცა რომ ვთქვა, ზუსტი წარმოდგენა მაქვს ზღვარს იქით რა ხდება - მეთქი, არ იქნება მართალი. საერთოდაც, ეს ზღვარი, ჩარჩო, სტანდარტი და ასეთი რამეები ძალიან აბსტრაქტული ცნებებია - არავინ იცის საერთოდ არსებობენ თუ არა.

მდინარეში ჩავიხედე. თმა უფრო გავიმუქე. სახე ოდნავ ფერმკრთალი მირჩევნია. მდინარე შეიფაკლა და დაიჩურჩულა:

- ლილიეეენ...

ყოველთვის ასე იქცევა - როცა მხედავს, ღელავს.

არსებობს ლეგენდა, რომ ოდესღაც რღვევა სწორედ ლილიენის წყალობით დაიწყო, რომელიც პირველად გასცდა ზღვარს წიგნსა და მკითხველს შორის - უაზროდ ყურების მაგივრად ადგა და მასში შევიდა.

ბებია ამტკიცებს, რომ ჩვენ ამ მითიური ქალის შთამომავლები ვართ და ყველა წითურ გოგოს ჩვენს გვარში ამიტომაც ჰქვია ლილიენი. მე ამის, რა თქმა უნდა, არ მჯერა, მაგრამ ამბობენ, რომ მას სხვებმაც მიბაძეს. თურმე ზოგი უბრალოდ აღარ მოკვდა, ზოგმა კედელზე შეაბიჯა, ზოგმა სუნქვა შეწყვიტა, ზოგმა საკუთარ საწოლზე ბალახი ამოიყვანა და ჭერიდან მზე მიინათა, ზოგმაც წერა გაფიქრებით დაიწყო.

ნეტავ გამაგებინა, რომელ სულელს გონია, რომ ოდესმე ვინმე ხელით წერდა ან იძულებული იყო ესუნთქა. 28-ე საუკუნეში ვიღას ჯერა ასეთი უაზრობების.

მდინარემ ერთი გამომხედა ალმაცერად, შენ რა გაგეგებაო, ხელი ჩაიქნია და აღმართს აუყვა.